ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1542701

ნომერი: AR1255793

თარიღი : 06.10.2014

გაცემის თარიღი : 16.10.2014

გაცნობის თარიღი : 16.10.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მეველეს , N 20 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კონსტანტინე დონაძე პ/ნ 01024023245
- თბილისი პეკინის გამზ. N 9 ბ. 34

ნომენკლატურა :

- I კლასი
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისიუს მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ, რომ მსგავსი სახით საჩრდილობლის მოწყობა სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია. საჭიროა საჩრდილობელი წარმოდგენილი იქნას უფრო მსუბუქი კონსტრუქციით და თანამედროვე სახით. აგრეთვე შესაცვლელია საპროექტო საჩრდილობლის მასალა და გაბარიტული ზომები, როგორც სიგრძეში ასევე სიგანეში, რაც უკვე გეცნობათ სამსახურის მიერ №1533824 გადაწყვეტილებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წარმოსადგენია ახალი ფოტომონტაჟი დეტალურად გაბარიტული ზომების და მასალის მითიტებით გამოტანილი ხაზის მეშვეობით.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.